

საქართველოს ბელტის ძირულის აზეგების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის გეოლოგია და შროშის ცეცხლგამძლე თიხის საბადო

გიორგი ჭანკვეტაძე

chankvetadze96@gmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

საკვლევი რაიონი მდებარეობს საქართველოს ბელტის ძირულის აზეგების ფარგლებში. მის აგებულებაში მონაწილეობენ: ნეოპროტეროზოულ-პალეოზოური მაგმური და მეტამორფული, ზედატრიასული ვულკანოგენ-დანალექი, ქვედაიურული ტერიგენული და კარბონატული, ბაიოსური ვულკანოგენ-დანალექი, ცარცული კარბონატული და მიოცენური მოლასური წარმონაქმნები.

ამიერკავკასიის კრისტალური ფუნდამენტის ძირულის შვერილის აგებულებაში მონაწილეობენ: გვიანპალეოზოური "წითელი" გრანიტები, პალეოზოური "ნაცრისფერი" გრანიტები, პალეოზოური მეტაბაზიტები და ნეოპროტეროზოულ-ადრეპალეოზოური მეტამორფული ქანები.

პალეოზოური დანალექი საფარი წარმოდგენილია შუაკარბონული ასაკის ანდეზიტის და ბაზალტის იშვიათი ფენების შემცველი სუბაერული დაციტ-რიოლითური ლავების და ვულკანოკლასტური ქანების ფორმაციით (1200 მ სისქის), რომელიც გამიშვლებულია ძირულის შვერილის ჩრდილო ნაწილში (ჭიათურის წყება). ტრიასულ-ეოცენურ დროში ამიერკავკასიის მასივი ვითარდებოდა როგორც კუნძულოვანი ტიპის შედარებით აზეგებული ერთეული. მის ცენტრალურ ნაწილში (საქართველოს ბელტი) ილექებოდა სხვადასხვა სიმძლავრის ძირითადად მარჩხი ზღვის, ლაგუნურ-ტბიური, ნახშირ- და მარილშემცველი ნალექები, რასაც თან ახლდა კუნძულთარკალური ტიპის ვულკანური ამონთხევეები. ოროგენულ სტადიაზე იმერეთის ქედის მთისწინა და აჯამეთი-საჩხერის მთათაშუა როფებში შუა და გვიან (ქვედა და შუა სარმატული) მიოცენურში გროვდებოდა ზღვიური ქვიშიან-თიხიანი მოლასები.

ძირულის (ოკრიბა) აზეგებაში ვლინდება შემდეგი პრეკოლიზიური ტექტონოსტრატოგრაფიული ერთეულები: ნეოპროტეროზოულ-პალეოზოური ფუნდამენტი; პალეოზოური და მეზოზოულ-ადრეკაინოზოური. საქართველოს ბელტის საკვანძო სტრუქტურულ თავისებურებას უძველესი ფუნდამენტის ძლიერი დეფორმაცია წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქერცლისებური სტრუქტურა და ტექტონიკური ფირფიტები, სუსტად დანაოჭებული დანალექი საფარი და სხვადასხვა ორიენტაციის მოკლე ბრაქინაოჭები და სუბვერტიკალური რღვევები.

საქართველოს ცეცხლგამძლე თიხის საბადოებს შორის შროშის საბადო ყველაზე მსხვილია, საბადო მდებარეობს ამიერკავკასიის რკინიგზის სადგ. ძირულადან 5 კმ-ში, სურამი-ზესტაფონის გზატკეცილზე, სოფ. შროშის სამხრეთ ნაწილში, ზესტაფონის რაიონში. გეოგრაფიული მდებარეობით საბადო იყოფა ორ უბნად: **მაჭარულა** და **ქანდარა**. **პროდუქტიული ჰორიზონტი** განლაგებულია სინემიურული ასაკის მარტოთუბნის (კონგლომერატები და კვარციანი ქვიშაქვები) წყების ზედა ნაწილში და წარმოდგენილია კვარციანი ქვიშაქვებით და ცეცხლგამძლე თიხის ფენებით. მისი სიმძლავრე 5-20 მ-ია. წარმოშობის მიხედვით შროშის საბადო მიეკუთვნება ალოქტონურ გენეტურ ტიპს,

მორფოლოგიურად კი - ფენებრივი ფორმისაა. თიხის წარმოშობა დაკავშირებულია ძირულის კრისტალური მასივის ქანების ძველი გამოფიტვის ქერქის თიხოვანი პროდუქტების გადარეცხვასა და გადალექვასთან. თიხა ძირითადად ორი სახესხვაობით არის წარმოდგენილი: ქვიერი და გუნდისებრი, ამასთან მეორე სჭარბობს.

მაჭარულას უბნის თიხის ბალანსური მარაგები A_2+B+C_1 კატეგორიების მიხედვით შეადგენდა 1157 ათას ტონას (1 იანვარი, 1956 წ.), ქანდარის უბნისა კი - $B+C_1$ კატეგორიების მიხედვით 534 ათას ტონას (1 იანვარი, 1956 წ.).